ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრობლემატიკა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ზურაბ ზურაბაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა, სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ზურაბ ზურაბაშვილი

25.06.2024

აბსტრაქტი

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი ადამიანის უფლებებთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული, შესაბამისად იგი ყოველთვის საჭიროებს შესაბამის რეგულირებას, იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი, არასაჭირო და არაპროპროციული ჩარევა. რაც შეეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, ისინი უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ისეთ ძირითად უფლებასთან, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თუმცა კანონმდებლობით რა თქმა უნდა მსგავსი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია, ისეთ შემთხვევებში, როდესაც კანონით დასახული ლეგიტიუმური მიზნების მიღწევა სხვა გზით შეუძლებელია ან არაგონიერ ძალისხმევებს მოითხოვს. ყურადსაღებია და არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი რისკებიც, რომელიც ასეთ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას თან ახლავს, მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ 2012 წლის მოვლენები, როდესაც სატელეფონო კომუნიკაციების საშუალებით მოპოვოვებული ჩანაწერები უკონტროლად ვრცელდებოდა ინტერნეტის საშუალებით, რაც იწვევდა სამართლიან პროტესტს, როგორც საზოგადოებაში ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში,[1] აღნიშნული კი ყოველთვის ზრდის და ზრდიდა უნდობლობას სამართალდამაცავი ორგანოების მიმართ. მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ორგანოში 2014 წლიდან დღემდე მიმდინარეობს ცვლილებები, რომელსაც წინ უძღვოდა კამპანიები „ისევ გვისმენენ“ და „ეს შენც გეხება“[2], წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია თუ რა გზები გაიარა „ფარულმა საგამოძებო მოქმედებებმა“ და როგორაა ის დღევანდელი სახით წარმოდგენილი. ასევე განხილულია ამ პერიოდში საკონსტიტუციო სასამრთლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადამინის უფლებათა დაცვის კუთხით. ამასთანავე საუბარი გვექნება ეფექტური კონტროლის მექანიზმებზე მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. ნაშრომი ეხება უახლეს ცვლილებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც გადავადდა პირის მიმართ ფარული

[1] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი https://tinyurl.com/3scwdaf8 (10.06.2024)
[2] იქვე.

საგამოძეიებო მოქმედებები ჩატარების შესახებ ამ პირის ინფორმირება ზოგ შემთხვევაში კი ბრალდების მხარეს შეუძლია სასამართლოში შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებებით მსგავსი შეტყობინება გადაავადოს იმდენჯერ რამდენჯერაც ამას საჭიროდ მიიჩნევს[3]. რაც იმას ნიშნავს, რომ რიგ დანაშაულების შემთხვევებში, ფაქტობრივად, მსგავსი შეტყობინების ვალდებულება დღევანდელი ნორმების თანახმად არ არსებობს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფარული საგამოძიებო მოქმედება, პირადი ცხოვრების უფლება, ადამიანის უფლებათა კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია.

[3] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მუხლი 143[3], ნაწ 6. https://tinyurl.com/2c92mdj4 (10.06.2024)

Abstract

Criminal law, as one of the branches of law, is most closely related to human rights, therefore it always needs appropriate regulation, in order to eliminate unjustified, unnecessary and disproportionate interference with human rights. As for secret investigative actions, they are directly related to such a basic human right as privacy. However, according to the legislation, it is certainly permissible to carry out such an investigative action, in cases where the achievement of the legitimate goals set by the law is impossible in any other way or requires unreasonable efforts. It is worth noting and we should not overlook the risks that accompany such investigative actions, for example, we can recall the events of 2012, when the records obtained through telephone communications were uncontrollably distributed through the Internet, which caused a fair protest, both in the society and in various non- governmental organizations, and the aforementioned always increases and increased mistrust of law enforcement agencies. In order to eliminate similar cases, changes have been taking place in the legislative body since 2014, which were preceded by the campaigns "They are listening to us again" and "This concerns you too". This paper reviews the paths that "undercover search operations" have taken and how it is presented today. The decisions made by the Constitutional Court during this period, which played an important role in the protection of human rights, are also discussed. At the same time, we will talk about effective control mechanisms and their positive and negative sides. The paper refers to the latest change in the Criminal Procedure Code, which postponed the secret investigative actions against a person. Informing this person about the conduct, and in some cases, the prosecution party can send a similar notification as many times as it deems necessary by filing a corresponding petition in the court. Which means that in the cases of some crimes, in fact, the obligation of such a notification does not exist according to the current norms.

Key words: Covert investigative action, right to private life, human rights convention, Constitution of Georgia.